06/08/2020

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა

2020 წლის 6 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია.

ღონისძიებაში მონაწილეობდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიაც, რომელსაც წარმოადგენდა პრორექტორი სასწავლო დარგში, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა.

ზემოხსენებული მემორანდუმის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელი შეუწყონ სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე უნივერსიტეტის სხვა სტუდენტების მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებად მომზადებას, მოქმედებენ ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით და აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით, ადასტურებენ ურთიერთთანამშრომლობის ნებას.

— tsas.ge